პროექტი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა N

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის

შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ. ა "ქვეპუნქტის , 61 -ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის ,,ნორმატიული აქტების შესახებ" მე-20 მუხლისა და საქართველოს კანონის ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი"-ს შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ბალანსი. (თავი I.მუხლი1).

მუხლი 2

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება. (თავი I. მუხლი 2)

მუხლი 3

განისაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსავლები 6057,6 ათასი ლარის ოდენობით. (თავი I. მუხლი 3).

მუხლი 4

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გადასახადები. (თავი I. მუხლი 4).

მუხლი 5

განისაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გრანტები 2 640.4 ათასი ლარით.(თავი I. მუხლი 5).

მუხლი 6

განისაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2307,2 ათასი ლარით.(თავი I. მუხლი 6).

მუხლი 7

განისაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ხარჯები 6 086,6 ათასი ლარით.(თავი I. მუხლი 7).

მუხლი 8

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება (თავიI. მუხლი 8).

მუხლი 9

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია. (თავი I. მუხლი 9).

მუხლი 10

განისაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო - 10,0 ათასი ლარის ოდენობით (თავიI. მუხლი 10).

მუხლი 11

განისაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი 80,0 ათასი ლარის ოდენობით. (თავი I. მუხლი 11).

მუხლი 12

განისაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიზნობრივი ტრანსფერი 183,0 ათასი ლარის ოდენობით (თავი I. მუხლი 12).

მუხლი 13

განისაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 ბიუჯეტის ასიგნებები 6117,6 ათასი ლარის ოდენობით (თავი II.მუხლი 14).

მუხლი 14

დაევალოს საბიუჯეტო დაწესებულებებს მიიღონ საჭირო ზომები ბიუჯეტის შემოსავლების აუცილებელი შესრულებისა და ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრების დანიშნულებისამებრ ხარჯვის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 15

ძალადაკარგულად ჩაითვალოს 2015 წლის 29 დეკემბრის №53 დადგენილება ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ".

მუხლი 16

დადგენილება ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან.

პროექტი მოამზადა: მ. გოგოლაძე